



რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების  
მონიტორინგი  
წინასაარჩევნო პერიოდში

პროექტი # S-12-155

საანგარიშო პერიოდი: 5 -11 ნოემბერი, 2012 წელი

*პროექტის ხანგრძლივობა: 11 ივნისი-10 დეკემბერი, 2012*  
*პროექტის ბიუჯეტი: 31 000 დოლარი*

**მონიტორინგის მეთოდებზე ეტაპის ძირითადი მიგნებები:**

- რეგიონალურ ტელეარხებზე მონიტორინგის სუბიექტების ძალიან მცირე ნაწილს ეთმობა დრო;
- მოვლენები და სუბიექტები უმეტესწილად ნეიტრალურად და ნეგატიურად შუქდება. მკვეთრად შემცირდა პოზიტიურ ტონში გაშუქების მაჩვენებელი;
- პოლიტიკური პარტიების გაშუქება თითქმის აღარ ხდება;
- სამთავრობო სტრუქტურების (პარლამენტი, მთავრობა) გაშუქების მატების პარალელურად მკვეთრად შემცირდა კოალიცია "ქართული ოცნების" და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივობების გაშუქებაც;
- საგრძნობლად მოიმატა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გაშუქებამ;

ანგარიში წარმოადგენს "ინტერნიუსი - საქართველოს" მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2012 წლის 5-11 ნოემბრის მანძილზე ჩატარებული კვლევის შედეგებს. მედიის მონიტორინგი ხელს უწყობს მისი პროფესიული სტანდარტის ზრდას და დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებას. ჩვენი კვლევის მიზანია საქართველოს რეგიონალური ტელემაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გადაცემებზე დაკვირვებით გამოვავლინოთ მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების მიმდინარეობა და ტენდენციები.

**ანალიზი და მეთოდოლოგია**

კვლევა განხორციელდა საქართველოს 20 რეგიონალურ ტელემაუწყებელზე: "25-ე არხი" (ქ. ბათუმი), "რიონი" (ქ. ქუთაისი), ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი), "ოდიში" (ქ. ზუგდიდი), "თანამგზავრი" (ქ. თელავი), "მე-9 არხი" (ქ. ახალციხე), "თრიალეთი" (ქ. გორი), "გურია" (ქ. ოზურგეთი), "იმერვიზია" (ჭიათურა), "არგო" (ქ. ზესტაფონი), "გურჯაანი" (ქ. გურჯაანი), "ბორჯომი" (ქ. ბორჯომი), "მარნეული ტვ" (ქ. მარნეული), "ლტვ" (ქ. ლაგოდეხი), "მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი), "მეგა ტვ" (ქ. ხონი), "ზარი" (ქ. სამტრედია), "მე-9 ტალღა" (ქ. ფოთი), "ქრონიკა" (ქ. დუშეთი), "ეგრისი" (ქ. სენაკი).

5-11 ნოემბრის მანძილზე საინფორმაციო გადაცემები ჯერჯერობით ისევ არ ჰქონდათ ტელეკომპანია "ქრონიკას" (ქ. დუშეთი) და "ეგრისს" (ქ. სენაკი).

## რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

დაკვირვება მიმდინარეობდა რეგიონალური ტელემაუწყებლების სადამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე.წ. “პრაიმ-ტაიმის” პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ეფუძნება რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებს. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიონალური სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია. კერძოდ, ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის დამახინჯების, დაუბალანსებელი გაშუქების, ტენდენციურობის და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟს (წამი), რომლებიც ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ სუბიექტებს შესახებ მომზადდა ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ.

დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია წამებში. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამა თუ იმ არხზე მას დრო საერთოდ არ დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი გაშუქება გვიჩვენებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი გაშუქება მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამა თუ იმ არხზე დათმობილი დრო.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო.

## რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისას ასევე ყურადღება ექცეოდა იმას, რომელ მოვლენებს აშუქებდნენ ტელეკომპანიები რეგიონალურს თუ ცენტრალურს.


თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდება მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება. თვისებრივი ნაწილი აერთიანებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა ბალანსი, ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება; სიზუსტე (არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში), გამოყენებული ლექსიკა და ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს რომელიც არ იზომება რაოდენობრივად. ასევე ყურადღება ექცევა საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს.

მონიტორინგის სუბიექტები არიან: პარლამენტი (სპიკერი, ვიცე-სპიკერები, პარლამენტის წევრები, კომიტეტები, აპარატი); პრეზიდენტი (პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მრჩეველები, პრეს-სპიკერი); მთავრობა (პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გუბერნატორები); ხელისუფლება (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ); ადგილობრივი თვითმმართველობა (მერები, საკრებულოების და გამგეობების თავმჯდომარეები); ცენტრალური საარჩევნო კომისია; არჩევნების დამკვირვებლები; სახელმწიფო აუდიტის სამსახური (არჩევნების კონტექსტში); ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია („სია“); ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; კოალიცია ქართული ოცნება; თავისუფალი დემოკრატები; ეროვნული ფორუმი; საქართველოს რესპუბლიკური პარტია; საქართველოს კონსერვატიული პარტია; ხალხის პარტია; საქართველოს გზა; თავისუფალი საქართველო; ახალი მემარჯვენეები; დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; ლეიბორისტული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს დემოკრატიული პარტია; ქართული დასი; ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; ევროპელი დემოკრატები; ამომრჩეველთა ლიგა; სახალხო კრება; ოპოზიცია (სპეციფიკაციის გარეშე, ანუ როდესაც დაუკონკრეტებლად ახსენებენ).


ეს სია საბოლოო არაა და შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება არჩევნებთან დაკავშირებული ახალი სუბიექტი.

**საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით:**


**"25-ე არხი" (ქ. ბათუმი)** - არხის საინფორმაციო გამოშვებებში 15 წუთი აჭარის მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 10 წუთი - ადგილობრივი თვითმმართველობის, 7-7 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და მთავრობის, 5 წუთი - აჭარის პარლამენტის, 4 წუთი - კოალიცია "ქართული ოცნების".



სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ. თუმცა გამოვლინდა ნეგატიური და პოზიტიური ტონებიც. დათმობილი დროის 93% ნეგატიურად გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 41% - კოალიცია "ქართული ოცნება", 29% - მთავრობა. პოზიტიურ ტონში თითქმის თანაბარი გაშუქება ჰქონდათ მთავრობას (20%), აჭარის მთავრობას (14%) და ადგილობრივ თვითმმართველობას (11%).




სუბიექტებზე საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავდ სუბიექტები. ირიბი გაშუქება მეტი იყო პირდაპირზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (94%) და მთავრობის (81%) გაშუქებისას.




საანგარიშო კვირის განმავლობაში ტელეკომპანია აქცენტს რეგიონის პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე აკეთებდა. მოვლენები უმეტესწილად ნეიტრალურად შუქდებოდა. აღსანიშნავია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ დაფიქსირებული ნეგატიური ტონის ყველაზე მაღალი (93%) მაჩვენებელი. ამის მიზეზი რესპონდენტების მიერ 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების (ოპოზიციის საპროტესტო აქციის და ტელეკომპანია "იმედის" დარბევა) შეფასება გახდა.


"რიონი" (ქ. ქუთაისი) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 33 წუთი, პრლამენტს დაეთმო. გაშუქების 21 წუთით მეორე ადგილზეა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც 18 წუთით მთავრობა მოჰყვება.



სუბიექტებს სამივე ტონში აშუქებდნენ, თუმცა ნეიტრალური სჭარბობდა. ნეგატიურ ტონში გაშუქების მაღალი მაჩვენებელი გვქონდა ხელისუფლების (61%), კოალიცია "ქართული ოცნების" (45%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (43%) შემთხვევებში. ხოლო პოზიტიურად გაშუქების ყველაზე მეტი წილი კოალიცია "ქართულ ოცნებაზე" (29%) და ხელისუფლებაზე (20%) მოდიოდა. ასევე დათმობილი დროის 17% პოზიტიურად გაშუქდა ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო 16% - პრეზიდენტი.



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას 84% ირიბ საუბარზე მოდიოდა. ირიბი საუბარი ასევე მეტი იყო კოალიცია "ქართული ოცნების" (70%) გაშუქებისას. სხვა სუბიექტების შემთხვევებში ეს მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.



ტელეკომპანია „რიონი“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ყურადღება პარლამენტში განვითარებული პროცესებისკენ იყო მიმართული. მთლიანობაში საინფორმაციო გამოშვებებში თანაბარი დრო ეთმობოდა, როგორც




ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის პოზიციების გაშუქებას. ამასთან, სიუჟეტები დაბალანსებულია, ჟურნალისტის ტექსტი კი ნეიტრალური.


**ქვემო ქართლის ტელე/რადიო კომპანია (ქ. რუსთავი)** - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 17 წუთი, ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 7 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 3-3 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და კოალიცია "ქართულ ოცნებას".



სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურ ტონში საუბრობდნენ, თუმცა დაფიქსირდა პოზიტიური და ნეგატიური ტონებიც. ნეგატიურ ტონში ყველაზე მეტი გაშუქება (78%) კოალიცია "ქართულ ოცნებას" ჰქონდა. პოზიტიურად თითქმის თანაბრად გაშუქდნენ: მთავრობა (12%), კოალიცია "ქართული ოცნება" (11%) და ადგილობრივი თვითმმართველობა (10%).




პირდაპირი საუბარი ბევრად მეტი იყო ირიბზე ადგილობრივი თვითმმართველობის (66%) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (80%) შემთხვევებში.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია ძირითადად რეგიონის სიახლეებს აშუქებდა. დიდი დრო დაეთმო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის გაშუქებას. აღსანიშნავია, რომ სიუჟეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ ლოიალური დამოკიდებულება იგრძნობოდა. ამასთანავე მათი საქმიანობა ზედაპირულად შუქდებოდა.

"ოდში" (ქ. ზუგდიდი) - საანგარიშო კვირაში მონიტორინგის სუბიექტებიდან მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო დაახლოებით 3 წუთი.


"მე-9 არხი" (ქ. ახალციხე) - არხის საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 10 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 3 წუთი წილად ხვდა მთავრობას, ხოლო დაახლოებით 2-2 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას" და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.



სუბიექტებს უმეტესწილად ნეიტრალურად აშუქებდნენ. დათმობილი დროის 96% ნეგატიურ ტონში გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პოზიტიურად გაშუქდა ადგილობრივი თვითმმართველობა (10%) და მთავრობა (14%).




სუბიექტების გაშუქებისას მათზე ირიბი საუბარი უფრო მეტი იყო:




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიამ გააშუქა როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. გარდა პოლიტიკური სიახლეებისა მნიშვნელოვანი დრო დაეთმო ადგილობრივი კულტურულ-სპორტული ღონისძიებების გაშუქებას. სიუჟეტები დაბალანსებულია, ჟურნალისტები ცდილობენ თანაბრად გააშუქონ ყველა დაინტერესებული მხარე. თავად ჟურნალისტების ტექსტები კი მიუკერძოებელია, არ იგრძნობა მათი სუბიექტური დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.


**"თანამგზავი" (თელავი)** - არხმა დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო მთავრობის (26 წთ.), პარლამენტის (19 წთ.) და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (16 წთ.) გაშუქებას დაუთმო.



სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოკვეთა. თუმცა ნეიტრალურ ტონში საუბარი ბევრად მეტი იყო. ნეგატიურ ტონში გაშუქების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (46%), კოალიცია "ქართული ოცნების" (40% - დათმობილი დრო 6 წთ.) და ხელისუფლების (50% - დათმობილი დრო 2 წთ.) შემთხვევებში დაფიქსირდა. ხოლო პოზიტიური ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მთავრობის (10%) გაშუქებისას გვექონდა.




პირდაპირი გაშუქება ირიბზე მეტი მხოლოდ პარლამენტის (69%) და ადგილობრივი თვითმმართველობის (43%) შემთხვევებში იყო:




საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „თანამგზავრი“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. თანაბრად გაშუქდა, როგორც სამთავრობო სტრუქტურები (მთავრობა, პარლამენტი) ასევე ოპოზიცია. შესაბამისად, სიუჟეტები დაბალანსებულია. ხოლო ჟურნალისტის ტექსტი - მიუკერძოებელი.

**"თრიალეთი" (ქ. გორი)** - არხის საინფორმაციო გამოშვებებში დაახლოებით 11 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაეთმო. გაშუქების 7-7 წუთი წილად ხვდათ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და მთავრობას, 4 წუთი - კვალიცია "ქართულ ოცნებას".




რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურ ტონში აშუქებდნენ. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიურ და პოზიტიურ ტონში გაშუქებაც. დათმობილი დროის 84% ნეგატიურ ტონში გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 29% - ადგილობრივი თვითმმართველობა. პოზიტიურ ტონში გაშუქება ბევრად ნაკლები იყო: მთავრობა - 10%, კვალიცა "ქართული ოცნება" - 8%, ადგილობრივი თვითმმართველობა - 6%.




სუბიექტების გაშუქებისას მათზე საუბრობდნენ როგორც სხვები, ასევე თავად სუბიექტებსაც ეთმობოდათ დრო. თუმცა ირიბი საუბარი სჭარბობდა:



## რეგიონალური ტელევიზიების ახალი ამბების მონიტორინგი

საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია "თრიალეთი" ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. სიუჟეტები დაბალანსებულია, ნაჩვენები იყო განსხვავებული მოსაზრებები; ჟურნალისტები ცდილობდნენ სუბიექტების მიმართ კრიტიკულები ყოფილიყვნენ, თუმცა მათი მხრიდან რომელიმეს მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ იგრძნობოდა.

**"გურია" (ქ. ოზურგეთი)** - არხმა 4 წუთი მთავრობის გაშუქებას დაუთმო, 3 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას. სუბიექტებზე ძირითადად ნეიტრალურად საუბრობდნენ; ხოლო პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბარი იყო. საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაუშუქებიათ.



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "გურია" ძირითადად ადგილობრივი ამბები გააშუქა. თუმცა გადაცემების ბოლოს მცირე დრო ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსაც ეთმობოდა. მოვლენების გაშუქებისას არ შეიმჩნეოდა მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე სუბიექტის მიმართ. ჟურნალისტი ფაქტებს შეფასებების გარეშე გადმოსცემდა.


**"მე-12 არხი" (ქ. ბოლნისი)** - საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის სუბიექტებიდან წუთზე ნაკლები დრო დაეთმოთ ადგილობრივ თვითმმართველობას და პარლამენტს.



"იმერვიზია" (ჭიათურა) - საანგარიშო კვირის საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტები არ გაუშუქებიათ.


"არგო" (ქ. ზესტაფონი) - საინფორმაციო გამოშვებებში 13 წუთი ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებას დაეთმო. მონიტორინგის სხვა სუბიექტები ფაქტიურად არ გაუშუქებიათ: წუთზე ოდნავ მეტი დრო დაეთმოთ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და კოალიცია "ქართულ ოცნებას", წუთზე ნაკლები - პარლამენტს.

ადგილობრივ თვითმმართველობაზე სამივე ტონში ისაუბრეს: 20% - პოზიტიურად, 74% - ნეიტრალურად, 6% - ნეგატიურად. ხოლო პირდაპირ საუბარზე დათმობილი დროის 84% მოდიოდა.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "არგომ" ძირითადად ადგილობრივი ამბები გააშუქა. სიუჟეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა ინტერვიუებს დიდი დრო ეთმობოდა. მაგალითად, 9 ნოემბრის საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებელ კახა გეწაძის ინტერვიუს დაახლოებით რვა წუთი დაეთმო. ასევე მნიშვნელოვანი დრო დაეთმო რაიონის კულტურული და სპორტული სიახლეების გაშუქებას, თუმცა ამ სიუჟეტებში მონიტორინგის სუბიექტებზე საუბარი არ ყოფილა.

**"ზორჯომი (ქ. ზორჯომი)** - არხმა დაახლოებით 11 წუთი ადგილობრივ თვითმმართველობას დაუთმო, 3 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას". მონიტორინგის სხვა სუბიექტები არ გაუშუქებიათ.



ორივე სუბიექტი უმეტესწილად ნეიტრალურად გაშუქდა. თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში ასევე დაფიქსირდა პოზიტიური ტონი (12%), ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას ნეგატიური (9%). სუბიექტების გაშუქებისას პირდაპირი საუბარი ბევრად მეტი იყო ირიბზე: კოალიცია "ქართული ოცნება" - 80%, ადგილობრივი თვითმმართველობა - 66%. კვლევის ეს შედეგები თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი არ არის.

**"მარნეული ტვ" (ქ. მარნეული)** - საინფორმაციო გამოშვებებში 4 წუთი მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 2 წუთი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის.




მთავრობის გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა: 29% - პოზიტიური, 52% - ნეიტრალური, 19% - ნეგატიური. ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის დათმობილი დროის ასივე პროცენტი ნეგატიურ ტონში გაშუქებაზე და ირიბ საუბარზე მოდიოდა. მთავრობის შემთხვევაშიც ირიბი გაშუქება (71%) ბევრად მეტი იყო პირდაპირზე (29%).


საანგარიშო კვირაში ტელეკომპანია „მარნეულმა“ გააშუქა როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები. ჟურნალისტები ინფორმაციას მშრალად გადმოსცემდნენ, არ იგრძნობოდა მიკერძოება რომელიმე პარტიისა თუ პოლიტიკოსის მიმართ.

არხის საინფორმაციო გამოშვებებში რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის მიერ მომზადებული რამდენიმე სიუჟეტიც გავიდა.

**"გურჯაანი" (ქ. გურჯაანი)** - არხის საინფორმაციო გადაცემებში 11 წუთი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო, 10 წუთი - მთავრობას, 7 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო 5 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".




სუბიექტებს უმეტესად ნეიტრალურად აშუქებდნენ. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიური და პოზიტიური ტონებიც. ნეგატიურ ტონში ყველაზე მეტი გაშუქება (90%) ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა.




ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გაშუქებისას ირიბ საუბარზე 98% მოდიოდა. ირიბი საუბარი (61%) ასევე სჭარბობდა პირდაპირს (39%) ადგილობრივი თვითმმართველობის

შემთხვევაში. სხვა სუბიექტების გაშუქებისას ირიბი და პირდაპირი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები თითქმის თანაბარი იყო.




საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „გურჯაანი“ გააშუქა როგორც ადგილობრივი, ასევე ზოგადად ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. გადაცემები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით იწყებოდა, რასაც ადგილობრივი სიახლეები მოჰყვებოდა. ტელეკომპანიამ დიდი დრო დაუთმო სიუჟეტებს, რომლებიც სხვადასხვა სახის სასამართლო დავებს (ძირითადად უკანონოდ ჩამორთმეული ბიზნესების გამო) განხილვას ეხებოდა. ჟურნალისტის ტექსტი მიუკერძოებელი იყო, ცდილობდნენ ინფორმაცია ობიექტურად გადმოეცათ.


**"ლტვ" (ქ. ლაგოდეხი)** - არხმა დაახლოებით 6 წუთი დაუთმო კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებას, 3 წუთი - მთავრობის, 2 წუთი - ხელისუფლების.



სუბიექტები უმეტესწილად ნეიტრალურად გაშუქდნენ. თუმცა დაფიქსირდა ნეგატიური ტონიც კვალიცა "ქართული ოცნების" (39%) და მთავრობის (34%) მიმართ. გაშუქების ასივე პროცენტი ნეგატიური იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის (დათმობილი დრო 1,2 წუთი) შემთხვევაში.




კვალიცა "ქართული ოცნების" გაშუქების 88% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა. სხვა სუბიექტების გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა:




საანგარიშო კვირის განმავლობაში ტელეკომპანია „ლტვ-ს“ საინფორმაციო გამოშვებებში მხოლოდ ექვსი სიუჟეტი გავიდა და მონიტორინგის სამი სუბიექტი გაშუქდა. შესაბამისად, არც თვისებრივი ანალიზისთვის საკმარისი მონაცემები დაგროვდა. თუმცა, შესამჩნევია, რომ გასულ კვირებთან შედარებით ჟურნალისტის ტექსტი ნეიტრალურია და სუბიექტური შეფასებების გაკეთების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

**"შეგა ტვ" (ქ. ხონი)** - საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 19 წუთი, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაეთმო. გაშუქების 11 წუთი წილად ხვდა მთავრობას, 7 წუთი - პარლამენტს, 6 წუთი - ადგილობრივ თვითმმართველობას.




სუბიექტებს ძირითადად ნეიტრალურად აშუქებდნენ. დაფიქსირდა ნეგატიურ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 25%, ადგილობრივი თვითმმართველობა- 17%, მთავრობა - 12%) და პოზიტიურ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 12%, მთავრობა - 2%) ტონებში გაშუქებაც.



სუბიექტების გაშუქებისას ადგილი ჰქონდა როგორც პირდაპირ, ისე ირიბ საუბარს. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ადგილობრივი თვითმმართველობის გაშუქებისას ირიბი საუბარი სჭარბობდა. მთავრობის და პარლამენტის შემთხვევებში კი თითქმის თანაბარი იყო.







საანგარიშო კვირის მანძილზე ტელეკომპანიის ყოველდღიურ საინფორმაციო გადაცემებში გაშუქდა როგორც ადგილობრივი, ასევე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები. სიუჟეტები დაბალანსებულია; ჟურნალისტების ტექსტები კი ნეიტრალური.

**"ზარი" (სამტრედია)** - საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანიის საინფორმაციო გადაცემებში მონიტორინგის სუბიექტები არ გაშუქდებიან.

**„მე-9 ტალღა“ (ფოთი)** - არხის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო, 9 წუთი მთავრობის გაშუქებას დაეთმო. გაშუქების 7 წუთი წილად ხვდა ადგილობრივ თვითმმართველობას, 4-4 წუთი პარლამენტს და ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას, 2-2 წუთი - კოალიცია "ქართულ ოცნებას".




სუბიექტების გაშუქებისას სამივე ტონი გამოვლინდა. თუმცა ნეიტრალური გაშუქება უფრო მეტი იყო. დათმობილი დროის ასივე პროცენტი ნეგატიურ ტონში გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ყველაზე მეტი პოზიტიური გაშუქება ჰქონდა პარლამენტს (24%).



სუბიექტების გაშუქებისას თითქმის თანაბარი იყო პირდაპირი/ირიბი საუბრის პროცენტული მაჩვენებლები. გაშუქების ასივე პროცენტი ირიბი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის

შემთხვევაში, ხოლო კოალიცია "ქართული ოცნების" გაშუქებისას პირდაპირი საუბარი (79%) ბევრად მეტი იყო ირიბზე (21%).



საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „მე-9 ტალღა“ ძირითადად ადგილობრივ სიახლეებს აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში საქართველოს რეგიონულ მაუწყებლთა ასოციაციის მიერ მიწოდებულ სიუჟეტებიც გავიდა. მოვლენების გაშუქებისას ჟურნალისტის მხრიდან მიკერძოებული ტექსტის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. თუმცა, იმის გამო რომ, ახალი და ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს უმეტესად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ, იმატა ნეგატიურ ტონში გაშუქების მაჩვენებელმა.

**მომავალში განსახორციელებელი სამუშაო:**

15-28 ნოემბრის მანძილზე მომზადდება რეგიონალური მაუწყებლების მონიტორინგის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



ანგარიში შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია "ინტერნიუსი-საქართველო" და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.